

მუსიკა სიყვარულს თმსამს

ბავშვებისათვის კარგად ნაცნობი გმირები არიან სცენაზე: ყოყლოჩინა თავი ფიცხელა და მისი გულისწორი სუნია. ვარსტოლ-მეგობარი შემოხვევინ, ანტონენ, მოილენენ უქნარა კატისგან განებვირებული თავები. მაგრამ აი, გამოჩნდება პაპა ესტატეს სათაგური, მაცდურ სურნელს დაჟჭრვევს კაკლის დიდი ლებანი და „გულადი“ ფიცხელა ვერაგი მანის ტყვეობაში მოექცევა...

ვაჟა-ფშაველას ცნობილი მოთხრობიდან „გადმოსახლდნენ“ პატარების წარმოსახვაში ეს გმირები და თავიანთი თავგადასავლით, თითქმის გაადამიანურებული თვისებებით მათი თანაგრძნობა და სიყვარულიც დაიმსახურეს... ამიერიდან ეს სასიამოვნო ნაცნობობა უფრო გამტკიცდება, გმირთა სახეებს უკვე გაცოცხლებულსა და ხორცშესხმულსაც იხილავენ გოგო-ბიჭები — რათს საყვარელ სიუჟეტზე დაწერილი ახალი მუსიკალურ-სცენური ნაწარმოებიც შეემატა საბავშვო რეპერტუარს. ცნობილმა საბავშვო პოეტმა გივი ჭიჭინაძემ სხარტ ლიბრეტოდ გალექსა ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მოტივები, კომპოზიტორმა ვაჟა დურგლიშვილმა იგი ორნაწილიან საბავშვო ოპერა-რევიუს დაუდო საფუძვლად, რეჟისორმა გოჩა დვისიძემ სცენურად გამართა ნაწარმოები, ხოლო მხატვრებმა მ. მერაბიშვილმა და ნ. აბრამიშვილმა დეკორაციები და კოსტიუმები მიუსადაგეს.

შემსრულებლად კი უკეთესის დიაგნოზებდნენ ნორჩი მსმენელები თუ არა მათსვე თანატოლებს, ლენინური კომპარტიის პრემიის ლაურეატის, ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლის „მზიურის“ წევრებს — ცამეტ ნიჭიერ გოგონას, მათი წინამორბედი „მზიურელების“ მსგავსად მშვენივრად რომ ფლობენ სიმღერისა და რამდენსავე საკრავზე შესრულების ხელოვნებას. პირველ ყოვლისა ისევე ანსამბლის ხელმძღვანელმა გურამ ჭაიანმა, პედაგოგებმა ნინო ჭანელიძემ, კობა კალანდარიძემ, რომან თაფლი-

აშვილმა იმარჯვეს, რომ მზიურელთა წყრიალა ხმებს ადვილად დაეძლია მუსიკალურ-სცენური ნაწარმოების სირთულენი, სიმღერისათვის მშვენიერი საორკესტრო თანხლებაც მიესადაგებინათ. ქორეოგრაფ ალა გლობას კი სულაც არ დასჭირდა მოცეკვავეთა შესარჩევად შორის წასვლა. მალე დაწმუნდა, რომ ამ ხალისიან გოგონებს მკლავის გაშლა და მუსიკის რიტმისთვის ფეხის აწყობაც მშვენივრად შესძლებიათ, ოპერის გმირთა განსახიერებაც და მათი ხასიათების ნამდვილი მსახიობებებით გააზრებაც.

პოდა ასე, სიმღერაში, ცეკვა-



სა და სცენურ თამაშში გამოიკვეთა ფიცხელსა და მისი მეგობრების სევდიანი, მაგრამ ბოლოკეთილი ამბავი. პირველად ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის, მუსკომედის თეატრის სცენებზე მოამშენინეს მზიურელებმა ახალი ოპერა თბილისელ ნორჩებს, მერე ლენინგრადულ თანატოლებს ესტუმრნენ, რამდენიმე წარმოდგენა იქაც გამართეს. ამ დღეებში კი ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ გაჩნდა „სათაგურის“ ადრეობა, ახალი ნაწარმოების სცენური სიტოცხლის დამკვიდრების, ნორჩ მსმენელზე ზრუნვის ნიშნად.

რეალური და ზღაპრული, ბოროტის და კეთილის სამყარო აუ-

მეტყველება კომპოზიტორ ვ. დურგლიშვილს. არაერთი საესტრადო სიმღერის ავტორს პოპულარული მუსიკის ენა დაუდუნა საფუძვლად ახალი ნაწარმოებისთვისაც, ოპერისეული ვოკალური ნორმები, რევიუსეული ესტრადულობა და სანახაობითობა შეერწყავს ერთ ჟანრად. მელოდიურობა, ინტონაციური სიმდიდრეა თითოეული ცალფა თუ საანსამბლო ნომრის დამამშვენებელი. მათ სოფლური, ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის გაუხუნარი ელვარებაც მატებს სისრულეს.

პირველ ყოვლისა, შინაარსის გამომკვეთი, გმირთა სახეების,

ხასიათების „დამსურათებელია“ მუსიკა. თუკი ეფექტური, დინამიკურია ოთხივე სურათის მასობრივი სცენები, იმიტომ, რომ ყოველ მათგანში უდერს გემოვნებით არანუიერებელი მრავალხმიანი გუნდები — თუნდაც, „თოვლი მოდის“, „ვეთხოვებით ძველსა წელსა“, „ეს ლებანი კი არა, ნატეხია მთვარისა“; ქართულ ხალხურ აკორდიკაზე დაშენებული მშვენივრია კაპელა გუნდი მეოთხე სურათის წინ „მზეო ამოდი“, ან კიდევ ხალხური „მრავალყამიერი“. როგორ კარგად ახასიათებს ტრაბახა ფიცხელს მარშის რიტმში დაწერილი მზიურელი არა „თავგმა კატა-დავიკრივ“, რარიგ თანაგრძნობის იწვევს ნორჩ მსმენელ-

ში უკვე სათაგურში გამომწყვდეული გმირის ნაღვლიანი „მონოლოგი“. პაპა ესტატეს არიაში კეთილი ბერიკაცის სახე იკვეთება, ხოლო კვარტეტში „ციცაცია“ და არიაში „დღეს კი ნატერა ამისრულდა, მომიტანეს სათაგური“. „ჩხავანა და უქნარა გმირისა.“

საორკესტრო ნომრების გარეშეც ხომ წარმოდგენილი იქნებოდა საბავშვო ოპერა. „საჭიდაო“, საქსოფონის რთული და დახვეწილი სოლო პირველსა და მეორე სურათს შორის, საორკესტრო ინტერმედიებიც იმიტომ გაუნაწილებია შიგადაშიგ გემოვნებით კომპოზიტორს.

ახლა ვთქვათ, რომ ფიცხელს სოფიკო ბერაძე ანსახიერებს და ლამაზი ტემბრის ძლიერ ხმა-სთან ერთად „რინდულ“ მიხვრა-მოხვრას არ იშურებს. გმირის დასახასიათებლად; ნაზი სუნია ირმა ენდლადის შეწყობილი სიმღერითა და ცეკვით გაახსომდებ; დარბაისელ პაპა ესტატეს მია ენუქიძის დაბალი ტემბრის, თბილი ხმა გვაყვარებს. უქნარა კატას მხოლოდ კი არ თამაშობს, თითქოს თავის გმირს დასცინის კიდევ ქეთირო რაზმაძე და ასეთი უშუალონი არიან ყველანი: ქეთირო ჯავახიშვილი (კაბიტანი), ლელა ამირანაშვილი (სოფლის მასწავლებელი), ხატია ჟრიგაშვილი (მამასახლისი), ნინო გელიშვილი (სოფლის მღვდელი), ეკა ბუხრაშვილი (ნემსა), ნათია გიორგობიანი (ფხიზრა), მარინე ბელოშვილი (კულა), მია ჯორჯაძე (ცემუნა), ირმა კალმახელიძე (ბეცია). ისინი მხოლოდ საკუთარი პარტიების კარგი შესრულებით კი არ გვახსომდებინ, არამედ იმითაც, რომ მშვენივრად უწყობენ ერთმანეთს ხმას, გამოცილილი ორკესტრანტებივით აულერებენ ფლეიტას, ს. ქსოფონს, ტრომბონს, საყვირს, ელექტროორგანს, დასარტყმელ საკრავებს, ჩანაწერებითა აუ ცოცხალი შესრულებით „თავის ზურგზე“ გადააქვთ მთელი საორკესტრო თანხლების სიმძიმე და კარგ ანსამბლს ქნინან.



მზიურული წუთებიც აქვთ ამ გმირებს, სევდიანიც. პაპა ესტატეს მიერ ცოცხლად გაშვებული თავუნა სიყვარული გაიმარჯვების, სუსტის გამოქომაგების ნიშანია. ნორჩ მსმენელსაც ეს უხარია. დაუმადლებლად უქრავს წარმოდგენის შედეგ ტაშს, მძალობას უხდის ლამაზი, დასამახსოვრებელი პანგების ავტორს, ყველას, ვინც ეს კარგი სანახაობა მოაშხადა. არა იმიტომ რომ „სათაგური“ სხვა უნარის მუსიკის, სხვა ქმნილებას შეცვლის, არამედ უფრო იმიტომ, რომ მათს საყვარელ, საბავშვო რეპერტურაში იგი თავის, ღირსეულ ადვილს დაიჭერს.